

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის  
საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა  
2022-2025 წლებისათვის

რუსთავი

2021

## შესავალი

ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეულმა კრიზისმა დანარჩენი მსოფლიოს მსგავსად ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველოც. პანდემიამ გავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე.

გამოწვევებთან ერთად, პანდემიამ შექმნა განვითარების ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები. სწორედ ამ შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე იქნება მიმართული, როგორც ქვეყნის, ასევე მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკა შემდგომი 4 წლის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება კვლავ დაეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

ადგილობრივ დონეზე გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

# თავი I

## ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

### ისტორია

რუსთავის ტერიტორიის ათვისება შუა ბრინჯაოს ხანაში, ძველი წელთაღრიცხვით II ათასწლეულის I ნახევარში დაიწყო. ამ პერიოდში რუსთავში მდინარე მტკვრის მარჯვენა მდინარისპირა პლატოზე, ტომთა ერთ-ერთი გაერთიანების კუთვნილი პირველი სამაროვანი გაჩნდა. ამ სამაროვნიდან მხოლოდ ერთი ნივთი არსებობს – წითლად გამომწვარი და შავად მოხატული ქოთანის, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XVIII-XVII საუკუნეებით თარიღდება. მარცხენა ნაპირზე ამ პერიოდის კულტურული ფენები ჯერ-ჯერობით არ აღმოჩენილა.

გვიან ბრინჯაოს ხანაში – ძველი წელთაღრიცხვით II ათასწლეულის II ნახევრიდან, როცა სამხრეთ კავკასიაში რკინის მოპოვება – დამუშავება და ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის თანამდევი პროცესები დაიწყო, ეს ტერიტორიები უფრო ინტენსიურად აითვისეს. ახალი დასახლებები გაჩნდა მტკვრის ორივე ნაპირზე, სადაც წყლის სიახლოვე, ნოყიერი ნიადაგი, თავდაცვისათვის ბუნებრივად შემოზღუდული გარემო და რბილი კლიმატი ხელსაყრელ საარსებო პირობებს ქმნიდა. ნასახლარები აღმოჩენილია “რუსთავის ციხის” გორაზე, მის მოპირდაპირედ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ჩათმის მთაზე და სხვა. ამ პერიოდის ცალკეული სამარხებისა თუ სამაროვანთა გეოგრაფიაც საკმაოდ ფართოა. ამ პერიოდში მოსახლეობა მისდევდა მესაქონლეობასა და სარწყავ მიწათმოქმედებას, განვითარებული იყო ხელოსნობის დარგები: მეთუნეობა, ლითონის, ტყავის, ხის დამუშავება და სხვა.

XI საუკუნის მემატიანის, ლეონტი მროველის მიხედვით, რუსთავი ქართველთა ეთნარქის, ქართლოსის ცოლმა ააშენა, შემდგომ კი შვილს – კუხოსს გადასცა, რომელმაც, ლეონტის აზრით, სათავე დაუდო ამ ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ ქართული ტომს – კუხებს. მისი მეორე ცნობის თანახმად, ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობისას, ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში, დიდ მცხეთასთან, ურბნისთან, უფლისციხესთან, სარკინესთან, კასპთან და სხვა ქალაქებთან ერთად უკვე რუსთავიც არსებულა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ იაღლუჯის მთასა და ცურტაველის ქუჩაზე აღმოჩენილი ძველი წელთაღრიცხვით V-II საუკუნეების ნამოსახლარები და სამაროვნები, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაოდაა დაცილებული, მაგრამ შესაძლოა ანტიკურ ეპოქაში რუსთავი, მცხეთის მსგავსად, სწორედ ცალკეულ, ურთიერთდაცილებულ უბნებად იყო გაშენებული.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსთავის შესახებ ცნობები თითქმის არ არსებობს. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე რუსთავში ერეკლე პირველმა საზამთრო რეზიდენცია მოიწყო. ვახტანგ VI-ს, რომელმაც გამაჰმადიანებულ ერეკლეს, იგივე ნაზარ-ალი ხანს ეს სასახლე დაუნგრია, კარგად ესმოდა რუსთავისა და ყარაიას ველის სამეურნეო – ეკონომიკური მნიშვნელობა. ამიტომ მან აღადგინა რუსთავის არხი, მაგრამ ქალაქის აღდგენა ვეღარ შეძლო. მიუხედავად ამისა, მცირერიცხოვანი მოსახლეობა რუსთავში მაინც დარჩა.



რუსთავის მშენებლობას საფუძველი საბჭოთა ეპოქაში, 1944 წელს, ამიერკავკასიაში უდიდესი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის პარალელურად ჩაეყარა. ახალმა სამრეწველო დაბამ რესპუბლიკური დაქვემდებარების

ქალაქის სტატუსი 1948 წელს მიიღო. ამავე წელს სახელები მიენიჭა ქალაქის პირველ ქუჩებს, ეს იყო: “ახალგაზრდა კომუნარების”, “რუსთავის მშენებელთა” და “ზოსტან-ქალაქის” ქუჩები.

თანდათან განვითარდა საქალაქო ინფრასტრუქტურა, შეიქმნა სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ფართო ქსელი. კიდევ ერთხელ განახლდა რუსთავის არხი. მოსახლეობა ადგილობრივი და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩამოყვანილი კადრების ხარჯზე იზრდებოდა. 1944 წელს გაიხსნა პირველი სკოლა, 1950 წელს გამოადნეს პირველი ქართული ფოლადი, 1954-ში - თუჯი და კოქსი, 1956 წელს კი ამიაკი.

1950 წელს გაიხსნა რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 1967 წელს – პირველი თეატრი. რუსთავი მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრად იქცა. 1988 წელს ქალაქში 35 მსხვილი საწარმო ფუნქციონირებდა. მათ შორის: მეტალურგიული კომბინატი, “აზოტის”, “ქიმბოჭკოს”, ცემენტის”, “ლითონკონსტრუქციის” და “ამწებმშენებელი” ქარხნები.

## ფართობი და მდებარეობა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის რეგიონული ცენტრია, ქვეყნის მასშტაბით 5 თვითმმართველი ქალაქიდან ერთ-ერთი; მისი ფართობი 60 კმ<sup>2</sup> არის, რაც რეგიონის საერთო ტერიტორიის 1%-ია, ხოლო ქვეყნის ფართობის 0.1% უჭირავს.

რუსთავი ქვემო ქართლის რეგიონისა და თბილისის აგლომერაციაში მყოფი ქალაქებიდან უდიდესია და რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრს წარმოადგენს. ის მდებარეობს ქვემო ქართლის ვაკეზე 41,5<sup>0</sup> განედსა და 41,5<sup>0</sup> გრძედზე, საქართველოს დედაქალაქიდან სამხერთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ზღვის დონიდან დაახლოებით 350 მეტრზე. დასავლეთიდან რუსთავს ესაზღვრება იალღუჯისა და ჩათმის მთები, ხოლო აღმოსავლეთით - გარდაბნისა და ფონიჭალის ველები. ქალაქს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროდ ჰყოფს მდინარე მტკვარი. ქალაქის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს ე.წ. „ძველი რუსთავის“ დასახლება, ხოლო მარჯვენაზე – ე.წ. „ახალი რუსთავი“. სანაპიროები ერთმანეთს უკავშირდება 1 კილომეტრი სიგრძის ხიდით. რუსთავს ესაზღვრება გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები.




ქალაქი ასევე, გამოირჩევა სტრატეგიული მდებარეობით. ის დედაქალაქის ცენტრიდან დაშორებულია 27 კილომეტრით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 20 კილომეტრით, სომხეთის რესპუბლიკის საზღვრიდან – 45 კილომეტრით, ხოლო აზერბაიჯანის საზღვრიდან – 30 კილომეტრით. თბილისისა და რუსთავის საზღვრებს შორის უმოკლესი მანძილი 7,66 კილომეტრია. რუსთავის მახლობლად გადის რეგიონული საკომუნიკაციო დერეფანი –TRACECA.

## მმართველობის ორგანოები

რუსთავი წარმოადგენს თვითმმართველ ქალაქს და მინიჭებული აქვს სახელწოდება – ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი. რუსთავის ხელისუფლებას წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლება – მერია საყოველთაო, ჯენჭისყრის შედეგად არჩეული მერის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო ოცდახუთკაციანი შემადგენლობით. მუნიციპალიტეტის უმაღლეს თანამდებობის პირს წარმოადგენს მერი, ხოლო საკრებულოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრთა ხმათა ურავლესობით არჩეული თავმჯდომარე. ქალაქი დაყოფილია 7 ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულად. თითოეული ერთეულიდან არჩეულია საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის ინტერესებს ხელისუფლებაში, ასევე დანიშნულია მერის წარმომადგენელი, რომელსაც აკისრია ლოკალურ დონეზე, ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის მედიატორის ფუნქცია.

## მოსახლეობა


ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი 129.4 ათას მოსახლეს ითვლის, რაც რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის 30%-ია, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის - 3%. ქალაქში მაცხოვრებელთაგან 67.3 ათასი ქალია, ხოლო 62.1 ათასი კაცი; 0-5 წლამდე ასაკის ბავშვები - 9.1 ათასია; სკოლის ასაკის ბავშვების რაოდენობა - 24.6 ათასია და ასაკით პენსიონერთა რაოდენობა - 28.5 ათ. ადამიანი; მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით ქალაქში 1 კვ.კმ-ზე 2.2 ათასი მოსახლე მოდის; ქალაქის მასშტაბით სოციალურად დაუცველთა (0-150 000 ქულამდე) რაოდენობა 19.8 ათასამდე ადამიანს ითვლის.



## ბიუჯეტი

რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი შეადგენს 81,2 მლნ ლარს. ბიუჯეტის შემოსულობების 85% (69,0 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებია; მათ შორის, აღსანიშნავია შემოსავლები გადასახადებიდან, რომელზეც საკუთარი შემოსავლების 72% (49,5 მლნ ლარი) უჭირავს, ხოლო დანარჩენი 28% სხვა შემოსავლებზე მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა დელეგირებული უფლებამოსილებებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

## 2010-2022 წლებში ასიგნებების დინამიკა



ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

2022 წლისთვის, ისევე როგორც 2020-2021 წლებში შემუშავდა 2022–2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. პრიორიტეტული მიმართულებები შემდეგია:

- განათლება.
- ინფრასტრუქტურის განვითარება.
- დასუფთავება და გარემოს დაცვა.
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის.

## თავი II

### ნაწილი I

#### შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები

##### 2022-2025 წლების შემოსულობების პროგნოზი

საპროგნოზო გათვლებით 2022-2025 წლებში ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას ზრდის ტენდენცია ექნება. 2022 წლისათვის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 73 721,7 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები 67 006,6 ათასი ლარი იქნება, მათ შორის: გადასახადების წილი 49 481,7 ათას ლარს გაუტოლდება (ქონების გადასახადი 12 000,0 ათასი ლარი იქნება, ხოლო დამატებითი ღირებულების გადასახადიდან 37 481,7 ათასი ლარი), გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 12 237,3 ათასი ლარი იქნება, ხოლო სხვა შემოსავლების წილი 5 287,6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივებიდან მისაღები თანხების მოცულობა 6 715,1 ათასი ლარია ნავარაუდები.

##### ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მოცულობები 2020-2025 წლებში

ათასი ლარი

N	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
1	განათლება	12 434,0	13 719,4	15 407,9	15 820,2	16 599,2	17 228,0
2	ინფრასტრუქტურის განვითარება	20 325,4	29 404,1	28 807,8	25 816,6	24 253,1	23 917,8
3	დასუფთავება და გარემოს დაცვა	5 267,3	8 922,5	8 111,8	8 211,2	8 400,4	8 568,7
4	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	7 499,3	9 337,9	10 846,0	10 723,5	10 485,5	10 359,5
5	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4 468,6	4 884,9	5 314,3	5 329,4	5 598,0	5 848,8
6	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	7 257,0	9 293,8	12 712,2	18 002,3	19 035,5	20 046,5

##### ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები 2020-2025 წლებში

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
<b>შემოსავლები</b>	<b>55 072,9</b>	<b>57 844,2</b>	<b>67 006,6</b>	<b>77 802,5</b>	<b>80 363,0</b>	<b>83 674,2</b>
გადასახადები	34 936,4	41 900,9	49 481,7	54 042,7	58 065,0	62 298,2
გრანტები	16 082,8	10 999,9	12 237,3	18 796,4	16 250,0	16 350,0
სხვა შემოსავლები	4 053,7	4 943,3	5 287,6	4 963,4	6 048,0	5 026,0
<b>ხარჯები</b>	<b>36 811,3</b>	<b>51 531,1</b>	<b>66 603,0</b>	<b>73 273,7</b>	<b>74 574,2</b>	<b>76 126,6</b>
შრომის ანაზღაურება	15 538,7	17 245,0	22 212,6	22 942,4	24 262,8	25 257,8
საქონელი და მომსახურება	10 759,3	15 555,0	20 786,8	23 679,0	25 132,4	26 781,7

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
პროცენტი	105,0	1 466,6	2 358,0	2 240,0	1 905,0	1 565,0
სუბსიდიები	2 701,1	4 814,0	6 635,0	4 930,0	4 740,0	4 550,0
გრანტები	8,3	5,2	6,0	4,5	4,5	4,5
სოციალური უზრუნველყოფა	3 485,6	4 001,2	4 230,3	4 397,3	4 655,0	4 898,1
სხვა ხარჯები	4 213,2	8 444,2	10 374,3	15 080,5	13 874,5	13 069,5
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>18 261,6</b>	<b>6 313,1</b>	<b>403,6</b>	<b>4 528,8</b>	<b>5 788,8</b>	<b>7 547,6</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>18 051,5</b>	<b>13 925</b>	<b>7 761,9</b>	<b>7 156,7</b>	<b>6 374,1</b>	<b>6 411,6</b>
ზრდა	19 963,7	24 027,4	14 477,0	7 648,5	6 826,5	6 881,7
კლება	1 912,2	10 102,1	6 715,1	491,8	452,4	470,1
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>210,2</b>	<b>-7 612,3</b>	<b>-7 358,3</b>	<b>-2 627,9</b>	<b>-585,3</b>	<b>1 136,0</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-266,4</b>	<b>-7 616,5</b>	<b>-7 478,3</b>	<b>-5 803,9</b>	<b>-3 761,3</b>	<b>-2 040,0</b>
ზრდა	616,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	616,3	0,0	0,0			
კლება	882,7	7 616,5	7 478,3	5 803,9	3 761,3	2 040,0
ვალუტა და დეპოზიტები	882,7	7 616,5	7 478,3	5 803,9	3 761,3	2 040,0
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-476,5</b>	<b>-4,2</b>	<b>-120,0</b>	<b>-3 176,0</b>	<b>-3 176,0</b>	<b>-3 176,0</b>
კლება	476,5	4,2	120,0	3 176,0	3 176,0	3 176,0
საშინაო	476,5	4,2	120,0	3 176,0	3 176,0	3 176,0
<b>ბალანსი</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>



## ნაწილი II

### გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

#### ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

2020 წელს ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებული იყო 55 072,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 106 პროცენტია.

გადასახადების სახით მობილიზებულია 34 936,4 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 103 პროცენტია, მათ შორის:

- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 7 311,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7 264,8 ათ. ლარი) 101 პროცენტია.
- უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადზე არ იყო განსაზღვრული გეგმა, წლის მანძილზე მოხდა დაზუსტება და შეადგინა (-1,9) ათ. ლარი.
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 269,2 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (267,4 ათ. ლარი) 101 პროცენტია.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით შემოსულია 13,1 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12,9 ათ. ლარი) 101 პროცენტია.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 3 332,1 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 354,9 ათ. ლარი) 99 პროცენტია.
- დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 24 012,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (23 007,3 ათ. ლარი) 104 პროცენტია.

გრანტების სახით მობილიზებულია 16 082,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 111 პროცენტია, მათ შორის:

- მიზნობრივი ტრანსფერის სახით მობილიზებულია 590,4 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (581,6 ათ. ლარი) 102 პროცენტია.
- სპეციალური ტრანსფერის სახით მობილიზებულია 4 600,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 100,0 ათ. ლარი) 148 პროცენტია.
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მობილიზებულია 10 892,4 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 855,1 ათ. ლარი) 100 პროცენტია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 4 053,7 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 683,5 ათ. ლარი) 110 პროცენტია (იხ. ცხრილი)

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
სხვა შემოსავლები	3 683,5	4 053,7	110
შემოსავლები საკუთრებიდან	685,5	744,7	109
პროცენტები	476,7	499,9	105
დივიდენდები	12,0	12,2	102
რენტა	196,8	232,5	118
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	100,0	130,4	130

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	96,8	102,1	105
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>735,0</b>	<b>877,8</b>	<b>119</b>
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>717,0</b>	<b>813,1</b>	<b>113</b>
სანებართვო მოსაკრებელი	110,0	65,2	59
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	0,01	100
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,0	1,2	120
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	6,0	6,0	100
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	600,0	740,7	123
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>18,0</b>	<b>64,7</b>	<b>360</b>
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	18,0	64,7	360
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>1 993,0</b>	<b>2 066,6</b>	<b>104</b>
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>270,0</b>	<b>364,7</b>	<b>135</b>

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 1 912,2 ათ. ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (1 638,9 ათ. ლარი) 177 პროცენტია, სადაც 52% მიწის გაყიდვის შემოსავლიდან არის.

2020 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე - 7 150,1 ათ. ლარი;*
- *თავდაცვა - 269,5 ათ. ლარი,*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 11 297,7 ათ. ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 5 505,1 ათ. ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 8 765,6 ათ. ლარი;*
- *განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია - 19 957,6 ათ. ლარი;*
- *ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა - 3 829,4 ათ. ლარი;*

- 2020 წლის განმავლობაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე გაწეულმა წლიურმა ხარჯმა შეადგინა 10 207,8 ათ. ლარი.
- განათლების სფეროს ფარგლებში დაფინანსდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი (455,5 ათ. ლარი), სადაც რეაბილიტაციის კურსს გადის 220-მდე ბენეფიციარი.
- დასვენება, კულტურა და რელიგიის ფარგლებში მთლიანობაში გახარჯულ იქნა 7 523,6 ათ. ლარი.
- ჩატარდა გზების სარემონტო სამუშაოები, ტროტუარების რეაბილიტაციის ჩათვლით. შესრულებულ იქნა 8 803,3 ათ. ლარის სამუშაო.

- განხორციელდა შენობების სახურავების სამუშაოები - 775,6 ათ. ლარი.
- დაფინანსდა რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებით და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯები; მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებზეც მთლიანობაში დაიხარჯა 4 468,6 ათ. ლარი.
- ქალაქის დასუფთავებაზე, კერძოდ გათავისუფლება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ქუჩების მონახვეტისაგან და საერთო ჯამში ბიუჯეტიდან დაიხარჯა 4 001,4 ათ. ლარი.

**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 10 თვის შესრულების მაჩვენებლები**

2021 წლის ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებულია 46 292,9 ათ. ლარი, რაც 10 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (57 844,2 ათ. ლარი) 80 პროცენტია.

**გადასახადების** სახით მობილიზებულია 33 272,4 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (41 900,9 ათ. ლარი) 79 პროცენტია, მათ შორის:

- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 8 583,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8 000,0 ათ. ლარი) 107 პროცენტს შეადგენს.
- უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით შემოსულია 15,1 ათ. ლარი, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებელი არ ყოფილა განსაზღვრული.
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის სახით მობილიზებულია 20,2 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10,0 ათ. ლარი) 202 პროცენტს შეადგენს.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით შემოსულია 15,1 ათ. ლარი, რაზეც საპროგნოზო მაჩვენებელი არ ყოფილა განსაზღვრული.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის სახით მობილიზებულია 424,3 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 400,0 ათ. ლარი) 18 პროცენტია.
- დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით მობილიზირებულია 24 214,1 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (31 400,9 ათ. ლარი) 77 პროცენტია.

**გრანტების** სახით მობილიზებულია 7 491,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 999,9 ათ. ლარი) 68,0 პროცენტია, მათ შორის:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების სახით მობილიზებულია 30,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (65,0 ათ. ლარი) 47 პროცენტია.
- მიზნობრივი ტრანსფერის სახით მობილიზებულია 415,2 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (500,0 ათ. ლარი) 83 პროცენტია.
- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მობილიზებულია 7 045,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 434,9 ათ. ლარი) 68 პროცენტია.

**სხვა შემოსავლების** სახით მობილიზებულია 5 528,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 943,3 ათ. ლარი) 112 პროცენტია (იხ. ცხრილი).

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>4 943,3</b>	<b>5 528,9</b>	<b>111,8</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>612,0</b>	<b>956,9</b>	<b>156,4</b>

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
<b>პროცენტები</b>	<b>400,0</b>	<b>754,3</b>	<b>188,6</b>
<b>დივიდენდები</b>	<b>12,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>
<b>რენტა</b>	<b>200,0</b>	<b>202,6</b>	<b>101,3</b>
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	109,0	157,0	144,0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	91,0	45,5	50,0
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>1 751,3</b>	<b>1 818,9</b>	<b>103,9</b>
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>1 733,3</b>	<b>1 799,2</b>	<b>103,8</b>
სანებართვო მოსაკრებელი	110,0	211,1	191,9
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	0,1	0,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,8	0,8	100,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	722,5	723,0	100,1
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	<b>900,0</b>	<b>864,3</b>	<b>96,0</b>
<b>არასამაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>18,0</b>	<b>19,7</b>	<b>109,4</b>
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	18,0	19,7	109,4
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>2 100,0</b>	<b>2 084,9</b>	<b>99,3</b>
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>480,0</b>	<b>668,2</b>	<b>139,2</b>

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 11 470,7 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 102,1 ათ. ლარი) 114 პროცენტია, მათ შორის:

- ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მობილიზებულია 1 869,8 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 700,0 ათ. ლარი) 110 პროცენტია.
- არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მობილიზებულია 9 600,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8 402,1 ათ. ლარი) 114 პროცენტია.

2021 წლის 10 თვისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე – 5 151,4 ათ. ლარი.*
- *თავდაცვა და უსაფრთხოება – 214,0 ათ. ლარი.*
- *ეკონომიკური საქმიანობა – 6 187,2 ათ. ლარი.*
- *გარემოს დაცვა – 7 495,5 ათ. ლარი.*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 10 896,7 ათ. ლარი.*
- *განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია – 15 673,9 ათ. ლარი.*

- **ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა – 3 954,4 ათ. ლარი.**
  - 2021 წლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 6 481,0 ათ. ლარი.
  - განათლების სფეროს ფარგლებში დაფინანსდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი (391,6 ათ. ლარი), სადაც რეაბილიტაციის კურსს გადის 220–მდე ბენეფიციარი.
  - დასვენება, კულტურა და რელიგიის ფარგლებში მთლიანობაში გახარჯულ იქნა 6 881,2 ათ. ლარი.
  - 2021 წლის 10 თვის განმავლობაში საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწერსიგებლად რეაბილიტირებულია 3 522,6 ათ. ლარის ღირებულების გზა.
  - მიმდინარეობს რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა რისთვისაც 10 თვის ხარჯი შეადგენს 3 309,0 ათ. ლარს.
  - ქალაქის დასუფთავებისათვის, კერძოდ გათავისუფლება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ქუჩების მონახვეტისაგან, ქალაქის ბიუჯეტიდან მოხმარებულია 5 058,0 ათ. ლარი.

### თავი III

#### ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტები, პროგრამები, მათი აღწერა და მოსალოდნელი შედეგები

#### განათლება

თვითმმართველობის მნიშვნელოვან პრიორიტეტებში მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებით და ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის მიზნით მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების გეგმა. განათლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლამდელი დაწესებულებებისა და დელეგირებული უფლებამოსილების ხელშეკრულების ფარგლებში საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. თვითმმართველობა პრიორიტეტების ფარგლებში ახდენს მოსწავლეთა და სტუდენტთა მაღალი აკადემიური მოსწრების წახალისებას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური კადრების გენერირებისა და ქალაქისა თუ ქვეყნის განვითარებაში.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	15 407,9	15 820,2	16 599,2	17 228,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	13 375,0	13 421,0	14 318,0	15 166,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	737,9	1 000,0	800,0	500,0
04 03	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	720,0	649,2	656,2	662,0
04 05	სტუდენტთა სწავლის დაფინანსება	0,0	100,0	100,0	100,0
04 06	ზოგასაგანმანათლებლო სკოლების ოქროს მედალზე კურსდამთავრებულთა წახალისების პროგრამა	500,0	550,0	600,0	650,0

#### ინფრასტრუქტურის განვითარება

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად ქალაქ რუსთავის გამოწვევად რჩება ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა, აქედან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეკრეაციული სივრცეების შექმნა-რეაბილიტაციას; ასევე ფინანსდება საგზაო, სანიაღვრე, გარე განათებისა და ავარიული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამები და ქალაქში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები; მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მუნიციპალიტეტს აქვს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მართვის გეგმა, განახლდა მუნიციპალური ავტობუსები, რამაც შეამცირა ქალაქის მავნე აირებით დაბინძურება.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	28 807,8	25 816,6	24 253,1	23 917,8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4 174,5	2 500,0	2 870,0	2 900,0

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	3 090,1	1 500,0	1 800,0	1 600,0
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	520,0	410,0	510,0	610,0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	564,4	590,0	560,0	690,0
<b>02 02</b>	<b>წყლის სისტემების განვითარება</b>	<b>297,7</b>	<b>447,6</b>	<b>459,6</b>	<b>874,8</b>
02 02 01	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	297,7	447,6	459,6	874,8
<b>02 03</b>	<b>გარე განათება</b>	<b>1 873,0</b>	<b>2 063,0</b>	<b>2 036,0</b>	<b>2 008,0</b>
02 03 01	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	1 873,0	2 063,0	2 036,0	2 008,0
<b>02 04</b>	<b>მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია</b>	<b>7 421,3</b>	<b>11 650,0</b>	<b>10 150,0</b>	<b>9 600,0</b>
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	1 901,3	4 550,0	3 550,0	3 000,0
02 04 02	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	700,0	600,0	600,0	600,0
02 04 03	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	0,0	1 000,0	1 500,0	1 500,0
02 04 04	მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაცია	4 820,0	5 500,0	4 500,0	4 500,0
<b>02 05</b>	<b>ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება</b>	<b>2 157,7</b>	<b>2 582,0</b>	<b>2 789,0</b>	<b>2 898,0</b>
<b>02 06</b>	<b>კეთილმოწყობის ღონისძიებები</b>	<b>6 606,2</b>	<b>2 142,0</b>	<b>1 685,0</b>	<b>1 551,0</b>
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	6 506,2	1 992,0	1 515,0	1 351,0
02 06 02	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	100,0	150,0	170,0	200,0
<b>02 07</b>	<b>მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება</b>	<b>4 625,0</b>	<b>2 900,0</b>	<b>2 700,0</b>	<b>2 500,0</b>
<b>02 08</b>	<b>საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა</b>	<b>500,0</b>	<b>300,0</b>	<b>300,0</b>	<b>300,0</b>
<b>02 09</b>	<b>საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა</b>	<b>370,0</b>	<b>500,0</b>	<b>500,0</b>	<b>500,0</b>
<b>02 10</b>	<b>რუსთავის კორპუსის ადმინისტრირების პროგრამა</b>	<b>782,4</b>	<b>732,0</b>	<b>763,5</b>	<b>786,0</b>

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალდ არის სამრეწველო მსხვილი ობიექტები, გარემოს დაცვის კანონით გამკაცრებული სანქციების ამოქმედება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების პარალელურად მნიშვნელოვანია ქალაქში არსებული რეკრეაციული ფართობების ინტენსიური ზრდა და არსებულის მოვლა-პატრონობა. ამასთან ერთად უსაფრთხო გარემო და სანიტარული მდგომარეობის ყოველწლიური გაუმჯობესება წარმოადგენს უმთავრეს პრიორიტეტს.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>8 111,8</b>	<b>8 211,2</b>	<b>8 400,4</b>	<b>8 568,7</b>
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	4 706,7	4 740,2	4 831,4	4 912,7

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2 096,7	2 128,0	2 170,0	2 203,0
03 03	ცხოველთა მონიტორინგი	600,0	613,0	648,0	683,0
03 04	რუსთავსერვის ცენტრის ადმინისტრირების პროგრამა	708,4	730,0	751,0	770,0

## კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ქალაქის კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეულ გაგრძელება თვითმმართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. კულტურის სფეროში გასატარებელი ღონისძიებების შედეგად რუსთავი უნდა წარმოჩინდეს კულტურული სამყაროს ღირსეული წევრად. მუნიციპალიტეტი თავის მხრივ ხელს უწყობს კულტურისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლთა განვითარებას. დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით ახალგაზრდობა თანამედროვე ქვეყნებში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ფასეულობას წარმოადგენს. ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარებისა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროპაგანდისათვის თვითმმართველობა განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინება, როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>10 846,0</b>	<b>10 723,5</b>	<b>10 485,5</b>	<b>10 359,5</b>
<b>05 01</b>	<b>სპორტის სფეროს განვითარება</b>	<b>3 805,0</b>	<b>3 349,0</b>	<b>3 492,0</b>	<b>3 747,0</b>
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2 000,0	2 020,0	2 030,0	2 040,0
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	1 088,0	1 129,0	1 162,0	1 207,0
05 01 03	სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	717,0	200,0	300,0	500,0
<b>05 02</b>	<b>კულტურის სფეროს განვითარება</b>	<b>5 954,0</b>	<b>6 348,7</b>	<b>5 941,7</b>	<b>5 531,7</b>
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	3 410,8	3 440,7	3 520,7	3 591,7
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების დაფინანსება	1 417,0	1 424,0	1 460,0	1 486,0
05 02 01 02	თეატრის ხელშეწყობა	1 115,8	1 123,0	1 136,0	1 150,0
05 02 01 03	მუზეუმის ხელშეწყობა	358,0	368,0	384,0	400,0
05 02 01 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	520,0	525,7	540,7	555,7
05 02 02	კულტურული ღონისძიებების განხორციელება	700,0	898,0	911,0	930,0
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 833,2	2 000,0	1 500,0	1 000,0
05 02 04	რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა	10,0	10,0	10,0	10,0
<b>05 03</b>	<b>ახალგაზრდობის მხარდაჭერა</b>	<b>267,0</b>	<b>272,8</b>	<b>286,8</b>	<b>299,8</b>
05 03 01	ახალგაზრდობის მხარდაჭერი ღონისძიებები	267,0	272,8	286,8	299,8
<b>05 04</b>	<b>სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის ქვეპროგრამების ადმინისტრირების პროგრამა</b>	<b>820,0</b>	<b>753,0</b>	<b>765,0</b>	<b>781,0</b>



## ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>5 314,3</b>	<b>5 329,4</b>	<b>5 598,0</b>	<b>5 848,8</b>
<b>06 01</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>1 818,3</b>	<b>1 933,3</b>	<b>2 028,3</b>	<b>2 108,3</b>
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	378,3	378,3	378,3	378,3
06 01 02	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	650,0	700,0	750,0	800,0
06 01 03	მოქალაქეთა მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარება	300,0	300,0	320,0	330,0
06 01 04	აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	400,0	460,0	480,0	500,0
06 01 05	გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსება	90,0	95,0	100,0	100,0
<b>06 02</b>	<b>სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>3 496,0</b>	<b>3 396,1</b>	<b>3 569,7</b>	<b>3 740,5</b>
06 02 01	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება	1 596,0	1 600,0	1 700,0	1 800,0
06 02 02	სარიტუალო მომსახურებები	26,0	31,0	31,0	31,0
06 02 03	შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე	56,4	60,0	65,0	70,0
06 02 04	შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე	487,0	325,0	350,0	375,0
06 02 05	ინდივიდუალური დახმარებების პროგრამები	39,5	43,0	44,0	45,0
06 02 06	უზუეს მოქალაქეთა დახმარება	3,0	2,4	2,7	3,0
06 02 07	რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა	531,8	546,0	560,0	572,0
06 02 08	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	400,0	410,0	420,0	430,0
06 02 09	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება	34,3	38,0	38,0	38,0
06 02 10	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	86,0	87,7	93,0	98,5
06 02 11	სტუდენტთა სოციალური დახმარება	50,0	52,0	55,0	57,0
06 02 12	სოციალური დახმარებების პროგრამა	85,0	85,0	90,0	95,0
06 02 13	სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის პროგრამა	6,0	6,0	6,0	6,0
06 02 14	დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამა	65,0	70,0	75,0	80,0
06 02 15	ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	20,0	20,0	20,0	20,0
06 02 16	ძალადობის მსხვერპლი სტატუსის მქონე პირთა დახმარების პროგრამა	10,0	20,0	20,0	20,0

## მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამის ხარჯებს, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს, მუნიციპალური არქივის დაფინანსებასა და ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობას.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>12 712,2</b>	<b>18 002,3</b>	<b>19 035,5</b>	<b>20 046,5</b>
<b>01 01</b>	<b>საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა</b>	<b>9 064,2</b>	<b>9 254,0</b>	<b>10 415,0</b>	<b>11 554,0</b>
01 01 01	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2 058,8	2 205,0	2 690,0	3 165,0
01 01 02	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	6 560,8	6 580,0	7 238,0	7 885,0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	354,6	369,0	377,0	384,0
01 01 04	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	90,0	100,0	110,0	120,0
<b>01 02</b>	<b>საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>3 648,0</b>	<b>8 748,3</b>	<b>8 620,5</b>	<b>8 492,5</b>
01 02 01	სარეზერვო ფონდი	940,0	1 000,0	1 100,0	1 200,0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	5,0	5,0	5,0	5,0
01 02 03	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ვალდებულებებისა და დავალიანებების მომსახურება/დაფარვა	2 478,0	5 416,0	5 081,0	4 741,0
01 02 04	მუნიციპალური არქივის ხელშეწყობა	115,0	117,3	119,5	126,5
01 02 05	ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	80,0	80,0	80,0	80,0
01 02 06	მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობა	30,0	2 130,0	2 235,0	2 340,0